საქ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 5 (1175) | კვირა, 12 იანვარი, 1958 წ. | გამოცემის მე-14 წელი. | ფასი 30 კაპ.



ამას წინათ მოსკოვის ოლქის იახრომას რაიონში გაიმართა საბჭოთა კავშირის უძლიერეს მოთხილამურეთა შეჯიბრება.

ჭაბუკთა შორის 10 კილომეტრზე რბენაში გამარჯვებული გამოვიდა კრასნოგორსკელი ი. ვორონჩიხინი. ქალთა შორის 15 კილომეტრზე პირველი ადგილი მოიპოვა ს. კონდაკოვმა (ცსკ მო), 30 კილომეტრზე რბენაში უძლიერესი აღმოჩნდა ოლიმპიური ჩემპიონი ვ. კუზინი. ქალთა 5-კილომეტრიან დისტანციაზე ფინიშთან პირველი იყო რ. ეროშინა (მოსკოვი „ლოკომოტივი").

სურათებზე: მარცხნიდან — ს. კონდაკოვი, ი. ვორონჩიხინი და რ. ეროშინა შეჯიბრების დროს.

საკდესის ფოტოქრონიკა.

## საკავშირო პროფკავშირულ-კომკავშირული კროსი

საკავშირო პროფსაბჭომ, საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა გამოიტანეს გადაწყვეტილება საკავშირო პროფკავშირულ-კომკავშირული სათხილამურო კროსის ჩატარების შესახებ, რომელიც მიეძღვნება საბჭოთა არმიის მე-40 წლისთავს.

რაიონებისა და ქალაქების ძირეული კოლექტივების საკავშირო სათხილამურო კროსის პროგრამაში შევა 3 კილომეტრზე რბენა გოგონებისათვის, 10 კილომეტრზე — ჭაბუკებისათვის, 3-5 კილომეტრზე — ქალებისათვის, 10-15 კმ-ზე — ვაჟებისათვის. საოლქო და ზონალურ პირველობაზე ქალები ერთმანეთს შეეჯიბრებიან 5 კმ-ზე, ხოლო ვაჟები — 15 კმ-ზე რბენაში.

საკავშირო კროსი ჩატარდება შემდეგ ვადებში:

მიმდინარე წლის 1 თებერვლამდე მოეწყობა მასობრივი შეჯიბრებები ფიზკულტურის კოლექტივებში, რაიონებში, ქალაქებში. 10 თებერვლამდე გაიმართება — საოლქო, სამხარეო (რესპუბლიკური) შეჯიბრებები რაიონებისა და ქალაქების პირველობაზე გამარჯვებული ფიზკულტურის კოლექტივების მონაწილეობით. აქ გამოვლენ აგრეთვე სოფლის რაიონების ნაკრები გუნდები, რომლებიც დაკომპლექტებულ იქნებიან კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა, მტს-ების უძლიერესი მოთხილამურეებით.

საოლქო შეჯიბრებებში გამარჯვებულნი თებერვლის ბოლოსათვის დაშვებულ იქნებიან ზონალურ პირველობაზე, რომელიც გაიმართება არხანგელსკში, ნოვგოროდში, მოსკოვში, კიევში, ორიოლში, კუიბიშევში, პერმში, ორენბურგში, ომსკსა და ხაბაროვსკში.

ზონალური შეჯიბრების ყველა მონაწილეს გადაეცემა სამახსოვრო, ხოლო გამარჯვებულებს — ჩემპიონობის ჟეტონები.



## ჭაბუკთა შორის

რიგაში დამთავრდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობა ჭიდაობა სამბოში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჭაბუკთა ნაკრები გუნდები.

საქართველოს მოჭიდავეთა კოლექტივმა სძლია რა ყველა მოწინააღმდეგეს, მოიპოვა გუნდური პირველი ადგილი. საზოგადოების ჩემპიონები გახდნენ გარეუბნის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლე ჩ. ქუცნიაშვილი (უმძიმესი წონა) და თბილისის მე-11 საშუალო სკოლის მოსწავლე ნ. ნავროზაშვილი (მძიმე წონა), შეჯიბრებაში მეორე საპრიზო ადგილები დაიკავეს გ. ბესტავაშვილმა, თ. თეთრაშვილმა და ჯ. ოდიშვილმა.

## ზამთრის აუზი მდინარეზე

ყოველდღიურად ასობით კუბომეტრ ცხელ წყალს უშვებდა მდინარე ყუბანში კრასნოდარის თბოელექტროცენტრალი. ამ ადგილას ზაფხულში ბანაობა შეუძლებელი იყო, ზამთრობით კი წყალი არასოდეს გაყინულა. ეს მომენტი კარგად გამოიყენეს ქალაქის ფიზკულტურელებმა ცურვის განვითარებისათვის ზამთრის პერიოდში და გადაწყვიტეს მდინარეზე დახურული აუზის აგება, რომელსაც ცხელი წყლით მოამარაგებდა თბოელექტროცენტრალი, ხოლო ცივით — მდინარე. მალე ქალაქის ფიზკულტურელები მიიღებენ აუზს. აქვე მოეწყობა გასახდელები, საშხაპეები და სხვა დამხმარე ოთახები, რომლებიც გათბება თბოელექტროცენტრალიდან მიღებული ცხელი წყლით.

ეს არც მოგონილი ამბავია და არც ფოტორეპორტიორის რაიმე ეშმაკობა. ახალგაზრდა, ჯანლონით სავსე ჭაბუკი იღებს ცივ აბაზანას გაყინულ ლიახვში. იმასაც ნუ იფიქრებთ, რომ წყლიდან ამოსვლის შემდეგ ჭაბუკს რაიმე ხიფათი შეემთხვა. იგი დინჯად, აუჩქარებლად შეიმშრალებს ტანს, ჩაიცვამს და შემდეგ შეუდგება თავის ყოველდღიურ საქმიანობას.

ასეთი უცნაური პროცედურით იწყება გიორგი ჩეხოევის ჩვეულებრივი დღე. გიორგი სტალინირის მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეა ჯერ მხოლოდ 16 წლის გიორგიმ მოასწრო ჭიდაობაში მეორე თანრიგის მიღება. მას ძალიან უყვარს ჭიდაობა და ბევრსაც ვარჯიშობს. ქვედა სურათზე თქვენ ხედავთ წვრთნის მომენტს. გიორგი ახუსტებს ხიდურის ტექნიკას.

ახალგაზრდა სპორტსმენის ორგანიზმი სისტემატური საექიმო კონტროლის ქვეშ იმყოფება. აი ახლაც ექიმი ვ. სანაკოევი ამოწმებს ორგანიზმის მდგომარეობას ყინულის აბაზანების მიღების შემდეგ.

ფოტო და ტექსტი ა. ვართანოვისა.





## როცა ძალები თანაბარია

მოსწავლეთა არდადეგების დღეებში მოსკოვში ტარდებოდა „ა" კლასის ოსტატთა გუნდებთან არსებული ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებები ფრენბურთსა და კალათბურთში.

ფრენბურთში მონაწილეობს თბილისის „ბურევესტნიკის" ჭაბუკთა კოლექტივი, რომელმაც წინასწარი შეხვედრები შედარებით დაბალ დონეზე ჩაატარა და იძულებული შეიქმნა ბრძოლა განეგრძო მე-7-12 ადგილისათვის. აქ საქართველოს წარმომადგენლებმა დაამარცხეს მოსკოვის „ლოკომოტივი" ანგარიშით 3:2 და მოსკოვის „ბურევესტნიკი" — 3:1.

კალათბურთელთა შეხვედრებში ჩვენი რესპუბლიკიდან მონაწილეობს სამი კოლექტივი, ერთი გოგონათა („ბურევესტნიკი") და ორი ჭაბუკთა („დინამო" და „ბურევესტნიკი"). მონაწილე გუნდები დაყოფილი იყვნენ ოთხ ქვეჯგუფად. თბილისის დინამოელები თამაშობდნენ „ა" ქვეჯგუფში, სადაც გამოდიოდნენ აგრეთვე რიგის ოსკა და „სპარტაკი", აგრეთვე ტალინის „კალევი", „ბ" ქვეჯგუფში თბილისია „ბურევესტნიკის" ჭაბუკთა გუნდთან ერთად გამარჯვებისათვის იბრძოდნენ აგრეთვე „ჟალგირისი" (კაუნასი) „სპარტაკი" (მოსკოვი) და სვერდლოვსკის გუნდი.

პირველ შეხვედრაში თბილისის „ბურევესტნიკის" გოგონათა გუნდმა დიდი ანგარიშით 65:20 დაამარცხა ლენინგრადის ოსკა-ს სპორტსმენები. მეორე დღეს საქართველოს წარგზავნილები შეხვდნენ მოსკოვის დინამოელებს, შეხვედრა დაამთავრეს ფრედ — 42:42 და გავიდნენ ფინალში.

მარცხიანი აღმოჩნდა პირველი კალენდარული მატჩი თბილისის „დინამოს" ჭაბუკი კალათბურთელებისთვის, რომლებმაც 5 ქულით (43:48) წააგეს რიგის ოსკ-ასთან. თბილისის ბურევესტნიკელებმა სძლიეს სვერდლოვსკის კალათბურთელებს — 79:50.

მორიგ კალენდარულ მატჩებში თბილისის „დინამომ" სძლია ჯერ ტალინის „კალევს" — 64:62, შემდეგ რიგის „სპარტაკს" — 64:50 და გავიდა ფინალში. ფინალურ შეხვედრებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს აგრეთვე ჩვენი დედაქალაქის „ბურევესტნიკის" სპორტსმენებმა, რომლებმაც კაუნასის „ჟალგირისთან" დამარცხების (50:55) შემდეგ მოუგეს მოსკოვის „სპარტაკს" — 60:51.

## დამთავრდა ოთხი ტრამპლინის ტურნირი

6 იანვარს ბიშოფსჰოფში (ავსტრია) ტრამპლინ „ლაიდერეგ-შანცეზე" გაიმართა ოთხი ტრამპლინის ტურნირის უკანასკნელი ტური.

ამჯერად წარუმატებლად გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები. ნ. შამოვმა დაიკავა მე-6 ადგილი, ნ. კამენსკიმ — მე-13. პირველი ადგილი მოიპოვა ხ. რეკნაგელმა (54 და 58,5 მ) და მოაგროვა 227,5 ბალი. ამ ტრამპლინზე მეორე შედეგი აჩვენა ოლიმპიური თამაშების პრიზიორმა ჰ. გლასმა (53,5 და 56,5), მესამე იყო საბჭოთა სპორტსმენი კ. წაქაძე (52,5 და 56,5 მ).

ამრიგად, ოთხი შეჯიბრების ჯამში უძლიერესი აღმოჩნდა ხ. რეკნაგელი. ნ. შამოვი და ნ. კამენსკი გამოვიდნენ მომდევნო ადგილებზე.

## დაიწყო დიდი ღონისძიება

ამ დღეებში დაიწყო რსფსრ-ს ხალხთა სპარტაკიადის ძირითადი ეტაპი — მასობრივი შეჯიბრებები ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში, რომელიც გაგრძელდება მარტამდე. ყოველ ძირეულ კოლექტივს ევალება მოაწყოს შეხვედრები საამქროებში, ბრიგადებში, კოლექტივის პირველობებზე. ამას გარდა ისინი ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ პროფკავშირულ-კომკავშირულ მასობრივ სათხილამურო კროსში.

უკვე დამტკიცებულია სპარტაკიადის მთავარ მსაჯთა კოლეგია სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. გრანატკინის მეთაურობით. სპარტაკიადის პროგრამაში შედის ციგურები, სათხილამურო რბენა, სამთო-სათხილამურო ორჭიდი, ფიგურული სრიალი და ჰოკეი.

ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში სპორტის ზამთრის სახეობათა პოპულარიზაციას.



# ორი მნიშვნელოვანი ობიექტი





საბურთალოზე ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობდა სადემონსტრაციო დარბაზის მშენებლობა. ის იყო სანახევროდ დამთავრდა საძირკველში ბეტონის ჩასხმა, რომ მშენებლებს „იძულებითი შესვენება" გამოუცხადეს — არაფერი ეშველა ნაგებობათა გადატანას და კერძო მობინადრეთა სხვაგან ვადაყვანას, რომლებიც მომავალი დარბაზის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ. ბოლოს ეს საქმე მოგვარდა. ჩამოყალიბდა სპეციალური სამშენებლო კანტორა და მუშაობა იმდენად გაიშალა, რომ უკანასკნელ სამ თვეში თითქმის იმდენივე სამუშაო შესრულდა, რაც განვლილ ერთნახევარ წელიწადში.

მაგრამ ახლა მარტო ამ დარბაზის აგება როდია მშენებელთა საზრუნავი. პროექტის მიხედვით დარბაზი უნდა გადაიხუროს ვუმბათისებურად, ყოველგვარი საყრდენების გარეშე, რაც ერთობ სარისკოა ასეთი დიდი მოცულობის შენობისათვის. მშენებლებმა გადაწყვიტეს დარბაზის მშენებლობის პარალელურად პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტერიტორიაზე აავონ საცდელი დარბაზი—სადემონსტრაციო დარბაზის მსგავსი მხოლოდ საკმაოდ შემცირებული მასშტაბისა, რომელიც 800-მდე მაყურებელს დაიტევს და 30-მეტრიანი დიამეტრის გუმბათის სახურავით გადაიხურება. ექსპერიმენტული დარბაზის მშენებლობის დამთავრება ნავარაუდევია მიმდინარე წლის პირველ კვარტალში თუ, რა თქმა უნდა, მშენებლებს გუმბათის ფილებით სათანადოდ მოამარაგებს „მთავართბილმშენის" სამშენებლო სამმართველო ისე, რომ მაისის პირველ რიცხვებში შესანიშნავ დარბაზს მივიღებთ და ამასთან გადაიჭრება საკითხი რა სისტემით გადახურონ სადემონსტრაციო დარბაზი, რომელმაც 10 ათასი მაყურებელი უნდა დაიტიოს.

დარბაზის მშენებლობაზე განსაკუთრებული გამოცოცხლება იგრძნობა ახალი წლის შემდეგ. განვლილ ათ დღეში საკმაოდ დაწინაურდა კომკავშირული ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს მ. კვირკველია. ახალგაზრდა მშენებლები ყოველდღიურ დავალებას 120-130 პროცენტით ასრულებენ. კარვად მუშაობენ აგრეთვე მებეტონეები გ. შახბაზოვის ბრიგადიდან.

* * *

მოკლე ხანში ერთ-ერთ სპორტულ ცენტრად გადაიქცევა დედაქალაქის ის კუთხე, სადაც „ბურევესტნიკის" სტადიონია. აქ ფეხბურთის ორი მოედნის გარდა უკანასკნელ ხანებში მოეწყო ჩოგბურთის ათი კორტი, აქვეა დედაქალაქში ერთ-ერთი საუკეთესო მოედანი სასტენდო სროლაში, ხოლო ფიზკულტურის ინსტიტუტსა და სტენდს შორის მიმდინარეობს თბილისში უდიდესი დახურული საცურაო აუზის მშენებლობა, რომლის დამთავრების შემდეგ სპორტსმენთა განკარგულებაში იქნება 50-მეტრიანი 20 მეტრის სივანის აუზი. ახალი აუზი შენდება ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტთან არსებული „ფიზკულტპროექტის" მიერ შედგენილი ტიპიური პროექტით 700 მაყურებლისათვის.

სამი თვეა, რაც მშენებლობა დაიწყო. უკვე დამთავრდა მიწის სამუშაოთა მნიშვნელოვანი ნაწილი, გაჩნდა ხარაჩოთა პირველი წყება. ხაიდეს ბეტონის პირველი კუბომეტრები, მაგრამ იმის გამო, რომ მშენებლებს არასაკმაო რაოდენობით აწვდიან მზა ბეტონს, საგრძნობლად გაჭიანურდა საძირკველის ამოყვანა. ამ საკითხის გადაწყვეტის მიზნით მშენებლობის ადგილზე დასასრულს უახლოვდება ბეტონის საკუთარი ქარხნის მოწყობა, რომელიც აუზის მშენებლებს უზრუნველყოფს საკუთარი ნაწარმით.

* * *

**სურათებზე:** ზევით — აუზის მშენებლობაზე. ქვევით — სადემონსტრაციო დარბაზის მშენებლობის საერთო ხედი.

## ჩემპიონატის შედეგები

### საქართველოს პირველობა ფეხბურთში

### საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტტს-ი (თბილისი) | 26 | 16 | 7 | 3 | 57:17 | 39 |
| „დინამო" (ბათუმი) | 26 | 13 | 9 | 4 | 37:21 | 35 |
| „კოლმეურნე" (ქობულეთი) | 26 | 12 | 9 | 5 | 41:25 | 33 |
| „ბურევესტნიკი" (რუსთავი) | 26 | 14 | 4 | 8 | 52:40 | 32 |
| „კოლმეურნე" (ლანჩხუთი) | 26 | 11 | 9 | 6 | 41:28 | 31 |
| „კოლმეურნე" (მახარაძე) | 26 | 10 | 7 | 9 | 41:26 | 27 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 26 | 11 | 5 | 10 | 39:46 | 27 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 26 | 9 | 8 | 9 | 32:32 | 26 |
| „დინამო" (ქუთაისი) | 26 | 9 | 8 | 9 | 38:42 | 26 |
| „ვოდნიკი" (ფოთი) | 26 | 8 | 8 | 10 | 28:34 | 24 |
| „კრასნოე ზნამია" (გორი) | 26 | 8 | 7 | 11 | 25:32 | 23 |
| „დინამო" (სოხუმი) | 26 | 7 | 4 | 15 | 35:55 | 18 |
| 26 კომ. სახ. რ-ნი (თბილისი) | 26 | 5 | 2 | 19 | 23:55 | 12 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 26 | 4 | 3 | 19 | 30:67 | 11 |

* * *

დამთავრდა საქართველოს 1957 წლის პირველობა ფეხბურთში. 7 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა ბრძოლა საფეხბურთო მინდვრებზე სამი ჯგუფის გუნდებს შორის, რომელთა რაოდენობა წელს გაცილებით მეტი იყო ვიდრე წინა წლებში.

რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება მოიპოვა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდმა (მწვრთნელი ს. სიხარულიძე), რომელმაც თანაბრად ჩაატარა გათამაშების ორივე წრე და აჩვენა შეწყობილი, კოლექტიური თამაში.

ბათუმის „დინამოს" ფეხბურთელებმა (მწვრთნელი ნ. კეშელავა) დაიკავეს მეორე ადგილი. აღსანიშნავია, რომ გუნდმა უკეთესად ჩაატარა პირველი წრე, მაგრამ ვერ გაუძლო ხანგრძლივ შეჯიბრებას და მეორე წრეში დათმო პოზიციები.

გასულ წელთან შედარებით უკეთესად ითამაშა ქობულეთის „კოლმეურნემ" (მწვრთნელი ტ. ეპიტაშვილი), რომელმაც დამსახურებულად დაიკავა მესამე ადგილი.

სუსტად მომზადებულნი აღმოჩნდნენ ქუთაისის „ტორპედო" და თბილისის 26 კომ. სახ. რაიონის გუნდები, რომლებიც ბოლო ადგილებზე გამოვიდნენ ჩემპიონატში და დებულების თანახმად მომავალ სეზონში მეორე ჯგუფში ითამაშებენ. მათ ადგილებს პირველ ჯგუფში დაიკავებენ ჭიათურის „მეტალურგი" (მწვრთნელი ზ. ბარათაშვილი) და ზუგდიდის „კოლმეურნე" (მწვრთნელი შ. კიტია).

მესამე ჯგუფის გუნდებს შორის აღსანიშნავია შემდეგი გუნდები: „კოლმეურნე" (თელავი), ლენინის სახ. შახტის გუნდი (ახალციხე), „მეტალურგი" (ზესტაფონი) და გეგეჭკორის რაიონის ნაკრები გუნდი. ეს კოლექტივები მომავალ წელს გამოვლენ მეორე ჯგუფში.

ეს არის, ასე ვთქვათ, ჩვენი რესპუბლიკის საფეხბურთო ღონისძიებათა ტექნიკური შედეგები. საინტერესოა, რა მოგვცა განვლილმა სეზონმა.

თუ ვილაპარაკებთ ფეხბურთის მასობრიობაზე, ადგილი აქვს გარკვეულ პროგრესს, მაგრამ ჩვენი გუნდების თამაშის კლასი აშკარად ჩამორჩება სადღეისო მოთხოვნებს. ჩატარებული თამაშების უმრავლესობამ ცხადყო მთელი რიგი გუნდების დაბალი მომზადების დონე. რასაკვირველია, ცალკეული მოთამაშეები საკმარისად არიან დაუფლებული ტექნიკას, გააჩნიათ საკმარისი ტაქტიკური განათლება, მაგრამ ძირითადი მასა, უმრავლესობა, ჯერ კიდევ შორს დგას სასურველი დონისაგან. რაშია საქმე?

ჩვენის აზრით, ამ ხარვეზის ძირითადი მიზეზი მდგომარეობს უპირველესად ყოვლისა იმაში, რომ ბავშვთა და მოზარდთა გუნდებში სრულიად არ ექცევა ყურადღება მუშაობას ტექნიკის ამაღლებისათვის. როცა ლაპარაკია სასწავლო-საწვრთნელ მუშაობაზე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი ტარდებოდეს მხოლოდ შეჯიბრებათა უშუალო მსვლელობის პროცესში. მოსამზადებელ პერიოდს, შუალედებს გათამაშებათა შორის მწვრთნელები ოდნავადაც არ იყენებენ და მაშინაც კი, როცა მიმდინარეობს წვრთნა, ნორჩი ფეხბურთელები, როგორც წესი, საკუთარ თავს არიან მინდობილი. ინდივიდუალური მიდგომა მწვრთნელთა მხრივ სრულიად უყურადღებოდაა მიტოვებული. კიდევ უფრო ნაკლები ყურადღება ექცევა ახალგაზრდა ფეხბურთელთა ფიზიკურ მომზადებას, რის გამოც გუნდები ვერ უძლებენ დიდ დატვირთვას (რუსთავის „ბურევესტნიკი", ფოთის „ვოდნიკი", გორის „კრასნოე ზნამია", რუსთავის „მეტალურგი", ქუთაისის „დინამო" და სხვ.).

რესპუბლიკის გუნდების ფეხბურთელთა უმრავლესობა აშკარად ჩამორჩება ტექნიკური მომზადების მხრივ. ბურთის მიღება, დამუშავება, გადაცემა, გაჩერება სხეულის სხვადასხვა ნაწილით, თავით თამაში და სხვა აშკარად დაუმუშავებელია.

ფეხბურთელთა წვრთნა თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისისა და სხვა სტადიონებზე მიმდინარეობს ერთფეროვნად, მოსაწყენად. გამეფებულია იკეთი სტანდარტი, რომელმაც არ შეიძლება გამოიწვიოს მომეცადინეთა შორის სიხალისის ან დაინტერესებულობის გრძნობა. ძნელად, რომ რომელიმე სტადიონზე იპოვოთ დამხმარე მოწყობილობა ან ინვენტარი, რომელიც სიახლეს შეიტანდა ამ მოსაწყენ მეცადინეობაში. ერთადერთი ბაზა, სადაც არსებობს სასწავლო მოწყობილობა, ესაა „დინამოს" ბაზა დიღომში. რა ვილაპარაკოთ პერიფერიების შესახებ, როცა თბილისის მოზარდთა საუკეთესო გუნდებიც კი მოკლებული არიან მრავალფეროვანი წვრთნის საშუალებას.

კვლავ იგრძნობა ჩამორჩენა ტაქტიკურ მომზადებაში. თითქმის ყოველ თამაშში მრავლად ნახავთ შემთხვევას, როცა მოთამაშე ვერ ერკვევა იოლ ტაქტიკურ კომბინაციაში და უშვებს უხეშ შეცდომას იქ, სადაც ფეხბურთელი არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეცდეს. თამაში ძირითადად წარმოებს მოკლე გადაცემებით და ისიც უშუალოდ უახლოესი პარტნიორის ფეხში. შორეული გადაცემები თავისუფალ ადგილზე გასვლით თითქმის სავსებით მივიწყებულია. უმნიშვნელოვანესი ტაქტიკური პრინციპი — მოთამაშეთა მაღალი მანევრება დავიწყებასაა მიცემული. მართალია, ზოგჯერ ნახავთ თავდამსხმელთა გადაადგილებას და გადანაცვლებას, მაგრამ ამას ნაკლები კავშირი აქვს იმ ტაქტიკურ მანევრებასთან, რომელიც ათვისებული უნდა ჰქონდეს საქართველოს პირველობაში მონაწილე გუნდების უმრავლესობას. საამისოდ ფეხბურთელებს არ ყოფნით არც ფიზიკური და არც ტაქტიკური მომზადება. ჩატარებულ მატჩებს მწვრთნელები არასაკმაო სერიოზულობით არჩევენ, ხოლო განვლილი წვრთნის ანალიზი მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე ხდება. რასაკვირველია, ასეთ პირობებში ძნელია ფეხბურთელთა „ქრონიკული" შეცდომების გამოსწორება.

არც ისაა დასამალი, რომ ზოგიერთი ჩვენი მწვრთნელი თვითონაც ერთობ სიღარიბეს განიცდის თეორიული მომზადების მხრივ და შეიძლება ამისი დიდი სურვილიცა ჰქონდეს, მაგრამ სხვას რა გადასცეს, როცა თვითონ არაფერი გააჩნია. ეს იმის შედეგია, რომ ისინი ნაკლებად კითხულობენ არსებულ ლიტერატურას, შემოქმედებითად არ უდგებიან იმ საქმეს, რომელსაც ემსახურებიან. სადავო არაა ის გარემოება, რომ მხოლოდ საკუთარი პრაქტიკული გამოცდილება და კარგი ფეხბურთელობა წარსულში არ ნიშნავს, რომ შეიძლება სათანადოდ უხელმძღვანელო კოლექტივს. საჭიროა სისტემატური მუშაობა საკუთარ თავზე, სიახლის განუწყვეტელი ძიება და წარუმატებლობის კრიტიკული ანალიზი და არა თავგამოდებული დავა მსაჯთან ყოველი სასტვენისათვის.

კიდევ უფრო მეტი სითამამით უნდა იქნან დაწინაურებული ძირითად შემადგენლობაში ახალგაზრდა ფეხბურთელები ყოველი გუნდის ხელმძღვანელობას უნდა ახსოვდეს, რომ საჭიროა ყურება წინ, ფიქრი რეზერვზე, ხვალინდელ დღეზე, თუნდაც ამას „დღეს" რამდენიმე ქულა შეეწიროს. რა თქმა უნდა, ყოველ გუნდში უნდა იყოს გამოცდილ მოთამაშეთა ბირთვი, რომელთა მეშვეობით ახალგაზრდობა სწავლობს თამაშს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ნიღბით შევაჩეროთ ახალგაზრდა მოთამაშეთა პროგრესი ასაკგადაცილებულ ფეხბურთელთა მოწვევის ხარჯზე.

სხვა რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ საქართველოს პირველობაზე მონაწილე ყველა გუნდიდან, ძირითადად, მხოლოდ სოხუმის „დინამო" (მწვრთნელი ს. ესაკია) იძლევა შევსებას თბილისის „დინამოს" დუბლიორთათვის, ასეთი კადრები კი ახლა კიდევ უფრო გვჭირდება იმის გამო, რომ „ბ" კლასში საქართველოდან შეყვანილ იქნა კიდევ ერთი გუნდი — თბილისის „ბურევესტნიკი".

(დასასრული მე-4 გვ.)

## საყურადღებო წინადადება

ჩვენი ყურადღება მიიპყრო „ლელოს" გასული წლის 22 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილმა რ. სვანიშვილის წერილმა — „რატომ არ ტარდება ეს ღონისძიება". აღნიშნულ სტატიაში ჩვენის აზრით აღძრულია მეტად მნიშვნელოვანი საკითხი. უმაღლეს სასწავლებელთა პედაგოგიური პერსონალისა და სხვა თანამშრომელთა, აგრეთვე სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაკთა შორის ფიზკულტურის ფართოდ დანერგვის შესახებ.

აღნიშნული დაწესებულებების თანამშრომელთა მინიმალური ასაკი ალბათ 26-27 წელია. უმეტესობა კი 30 წელსაა გადაცილებული. რა თქმა უნდა, ამ ასაკის ადამიანთაგან რაიმე მაღალი კლასის სპორტსმენის ჩამოყალიბებაზე ლაპარაკი ზედმეტია. მაგრამ განა ამაშია საქმე? ფიზკულტურის მნიშვნელობა იმდენად ნათელია ყველასათვის, რომ სრულებით არ საჭიროებს რაიმე განსაკუთრებულ აგიტაციას. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ორგანიზმის შესაფერისი ფიზიკური დატვირთვა აუცილებელია ყოველი ასაკისა და პროფესიის ადამიანისათვის, თუმცა ეს დატვირთვა სხვადასხვა ინტენსიობისა და ხასიათის უნდა იყოს. როგორც ამას სწორედ აღნიშნავს ავტორი, მეცნიერ-მუშაკებს შორის სპორტის ყველა სახეობის კულტივირება ძნელია, მაგრამ მათი წვრთნა სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიცაა კალათბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი, ჭადრაკი, სროლა, ცურვა სავსებით დასაშვებია.

აღნიშნულ სახეობათა სექციების ჩამოყალიბება უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში უაღრესად სასარგებლოდ მიგვაჩნია. უფრო მეტიც, რატომ არ შეიძლება პერიოდული ოფიციალური შეჯიბრებების მოწყობა? თბილისის გარდა რესპუბლიკაში ათეულზე მეტი პედაგოგიური და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტია, რომელთა შორის რესპუბლიკური შეჯიბრებების მოწყობა ხელს შეუწყობდა მეცნიერ-მუშაკთა და თანამშრომელთა ფიზიკურ გამაგრებასა და მათ შორის მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობის დამყარებას.

გორის ბარათაშვილის სახელობის პედინსტიტუტს პედპერსონალსა და თანამშრომელთა შორის ფიზკულტურული მუშაობის კარგი ტრადიცია აქვს. კარგი იქნებოდა თუ რესპუბლიკური მასშტაბის ღონისძიებათა ჩატარებით გავეცნობოდით სხვა პედინსტიტუტებსა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ფიზკულტურელთა საქმიანობას.

**დ. ჯოხაძე,**
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

# საინტერესო, მიმზიდველი წიგნი




გამომცემლობა „ტექნიკა და შრომამ“ 1957 წლის მიწურულს გამოსცა მღვიმეებისა და უფსკრულების ცნობილი ფრანგი მკვლევარის, სპელეოლოგ ნორბერტ კასტერეს საინტერესო მიწისქვეშა მოგზაურობათა რომანტიკით აღსავსე ნაშრომი — „ათი წელი მიწის ქვეშ“, რომელშიც ცოცხალი, მიმზიდველი თხრობითაა წარმოდგენილი ამ შესანიშნავი მკვლევარის ათწლოვანი შრომის ეპიური სურათი.

ნ. კასტერეს წიგნი, გარდა წმინდა სპეციფიკური — მიწისქვეშეთის მეცნიერულ-კვლევითი ხასიათისა და მასთან დაკავშირებული სახიფათო, უჩვეულო და საინტერესო თავგადასავალთა მიმზიდველობისა, ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, საგულისხმო მომენტით: იგი, როგორც სპელეოლოგიური ნაშრომი, ეყრდნობა რა მთელ რიგ მეცნიერებათა — გეოლოგიისა და გეომორფოლოგიის, ბიოლოგიისა და არქეოლოგიის და სხვათა საფუძვლებს, ამავე დროს თვალნათლივ წარმოგვიდგენს, თუ მათთან ერთად რა ძვირფასი და ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს სპელეოლოგიური მეცნიერული კვლევის წარმატებაში სპორტს, რომელიც ორგანულ, განუყოფელ კომპონენტადაა ჩართული მთელი ამ კვლევის პროცესში.

ისევე როგორც ალპინისტს, რომელსაც სპორტულ მიღწევებთან ერთად მეცნიერებისათვის ძვირფასი ცნობები ჩამოაქვს დედამიწის უმაღლესი წერტილებიდან, სპელეოლოგსაც პრინციპში ისეთივე მოცულობისა და სიძნელის სპორტული ხასიათის სამუშაოების ჩატარება სჭირდება.

ეს მხარე—სპორტისა და მეცნიერული კვლევის ორგანული შერწყმა — წითელ ზოლივით გასდევს ნ. კასტერეს მთელ ნაშრომს. ყველგან, სადაც კი შეუდგამს ფეხი ამ შესანიშნავ მკვლევარს, მოგზაურსა და სპორტსმენს, კაეირის მღვიმეში თუ კასტერეს ეხოში, მარტელის უფსკრულში თუ მიწისქვეშა „წყეულ მთებში“, ყველგან მისი ნაპიჯები დაკავშირებული იყო ურთულესი სპორტული და ფიზიკური საშუალებების გამოყენებასთან, რომლებიც მიწისქვეშეთში მოგზაურობის ხერხების ერთიან სპორტულ კომპლექსს ქმნიან. მასში შედის უდიდეს სიღრმეებზე თოკით დაშვებაც და მიწისქვეშა წყლებში ცურვაც, წყვდიადით მოცული სივრცეების გადალახვაც და გზის გადამკეტ კლდეებთან ბრძოლაც. მხოლოდ მათი მეოხებით მოახერხა კასტერემ ფენომენალური მეცნიერულ-კვლევითი შედეგების მიღწევა: მიწისქვეშა მდინარის მასდაზილის, მდინარე პოსა და გარონას ნამდვილი მიწისქვეშა სათავეების, უძველეს ადამიანთა მიერ შექმნილი ქანდაკებების, გადაშენებულ ცხოველთა კვალისა და სხვა მრავალი ძვირფასი ექსპონატებისა და ცნობების აღმოჩენა და გახსნა.

ნ. კასტერეს წიგნის ქართული თარგმანი დამაკმაყოფილებლადაა შესრულებული ქ. ლორთქიფანიძისა და გ. კოპაძის მიერ. განსაკუთრებით საყურადღებოა წიგნისადმი წამძღვარებული წინასიტყვაობა, რომელიც მის რედაქტორს — გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორს ლ. მარუაშვილს ეკუთვნის და რომელიც საქართველოში სპელეოლოგიური კვლევის მდიდარი პერსპექტივების საკითხებს აშუქებს.

**შ. ჯუღელი**

## არმიელი მძლეოსნები სტარტზე

ახალი — 1958 წლის სპორტული სეზონი უკვე შევიდა თავის ძალაში. 5 და 6 იანვარს „დინამოს“ სტადიონზე გათამაშდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ზამთრის პირველობა მძლეოსნობაში.

შეჯიბრება დაიწყო 100 მეტრზე რბენით. მძლეოსნობის ამ სახეობაში ფინიშთან პირველი იყო ლ. ტიმოფეევი — 11,7. 400 მეტრზე საუკეთესო დრო — 55,7 ჰქონდა ვ. ბოროდინს, რომელსაც პირველი ადგილი მიეკუთვნა. ბირთვი ყველაზე შორს (12,49 მ) ჰკრა ა. კურჩიკმა. ჭოკით სიმაღლეზე ხტომაში — გამარჯვება ე. პიპინოვმა — 380 სმ.

საინტერესო იყო რბენა 10.000 მეტრზე, სადაც წარმატება წილად ხვდა ნ. სერგეევს. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებული თავიდან ბოლომდე ლიდერობდა რბენას.

მცირე შვედურ ამანათრბენში (400 + 300 + 200 + 100) პირველი ადგილი დაიკავეს: სედოვმა, კოლიხანოვმა, ტიმოფეევმა და სოტნიკოვმა. გამორბენით სიგრძეზე ხტომაში ყველაზე შორს გადახტა ვ. მახარინეცი — 6,57 მ. უროს ტყორცნაში ტოლი არ ჰყავდა ი. სოტნიკოვს — 42,17 მ.

შეჯიბრების პროცესში ნაჩვენები იქნა II და III თანრიგს შედეგები.

**შ. ქირია**

## დაბალი მაჩვენებლებით

თბილისში დამთავრდა მოზარდ ფრენბურთელთა ზამთრის რესპუბლიკური შეჯიბრება.

მას შემდეგ, რაც თბილისის განათლების განყოფილების გოგონებმა მოუგეს აფხაზეთის კოლექტივს, ცხადი გახდა, რომ პირველობისაკენ გზას მათ ვერავინ გადაუღობავდა. ეს ასეც მოხდა. თბილისელებმა მოიგეს რა დარჩენილი შეხვედრები „ლოკომოტივთან“ (3:0) და ქუთაისის გუნდთან (3:0), დამსახურებულად მოიპოვეს ზამთრის რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის სახელი. ერთი დამარცხებით მეორე ადგილზე გამოვიდნენ აფხაზეთის სპორტსმენები, მესამე ადგილი წილად ხვდა აჭარის გუნდს.

ჭაბუკთა შორის პირველი ადგილი დაიკავეს აჭარის წარმომადგენლებმა (თბილისელები ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ), რომლებმაც ტურნირი წაუგებლად გაიარეს. აფხაზეთის გუნდმა განიცადა რა დამარცხება პირველ ტურში გორის კოლექტივთან, შემდგომში მოიგო ყველა შეხვედრა და დაისაკუთრა მეორე ადგილი. მესამე ადგილი წილად ხვდა ქუთაისის ფრენბურთელთა გუნდს.

შეჯიბრებამ გვიჩვენა მონაწილეთა მეტად სუსტი ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება, რაც გამოიხატებოდა ერთფეროვან, პრიმიტიულ თამაშში. ეს განსაკუთრებით ითქმის ჭაბუკთა გუნდებზე. თუ გოგონათა კოლექტივებს ჰყავთ ძლიერ სპორტსმენთა ერთეულები, ჭაბუკთა გუნდებში ვერ შეხვდებით ვერც ერთ სპორტსმენს, რომელიც ოდნავ მაინც იმედს იძლეოდეს,

**ლ. თუშიშვილი**

## გაიმარჯვეს ქუთაისისა და თბილისის გუნდებმა

ხუთი დღის მეტად დაძაბული ბრძოლის შემდეგ ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში დამთავრდა საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და უწყებათა უძლიერეს გოგონათა და ჭაბუკ კალათბურთელთა გუნდების ასპარეზობა.

ფინალში, რომელიც 7 იანვარს დაიწყო, გავიდნენ თბილისის ნორჩი დინამოელის, ქუთაისის, აფხაზეთის და ფოთის გოგონათა, აგრეთვე თბილისის „ლოკომოტივის“, აჭარის, ქუთაისისა და გორის ჭაბუკთა გუნდები.

გოგონათა შორის ყველა შეხვედრა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარა ქუთაისის გუნდმა (მწვრთნელი ო. ადეიშვილი), რომელმაც მოიპოვა პირველი ადგილი. ჩემპიონატში მეორე იყო ნორჩი დინამოელის კოლექტივი (მწვრთნელი გ. ვასილიევი), რომელმაც მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგო ქუთაისის გუნდთან, მესამე საპრიზო ადგილი წილად ხვდა აფხაზეთის ნაკრებს.

ჭაბუკთა შორის დიდი მონდომებით ჩაატარა ყველა შეხვედრა თბილისის „ლოკომოტივის“ გუნდმა, რომელმაც მოიპოვა გარდამავალი თასი. გუნდს წვრთნის გ. ზახლიანი. მეორე ადგილი ორი მოგებით — აჭარის ნაკრებთან — 51:46 და გორთან — 63:56 დაიკავა ქუთაისის გუნდმა (მწვრთნელი სპორტის ოსტატი ს. თორთლაძე), მესამეზეა — გორის ნაკრები (მწვრთნელი ს. აკოფოვი).

**ი. პარლაგაშვილი**

## რატომ წააგო რ. შპილმანმა 12 სვლაში

ჭადრაკის თითქმის ყველა მოყვარულმა იცის რომ 1935 წელს მოსკოვის II საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის სტარტზე მ. ბოტვინიკმა 12 სვლაში დაამარცხა ავსტრიელი გროსმაისტერი რ. შპილმანი.

მაგრამ ბევრისათვის გაუგებარი დარჩა თუ რა იყო გამოჩენილი გროსმაისტერის სწრაფი დამარცხების მიზეზი. ამის ახსნა შეეძლო მხოლოდ თვითონ რ. შპილმანს. 1936 წელს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მან კიდეც გამოაქვეყნა წერილი:

„ვარშავიდან რუსეთის საზღვრამდე მგზავრობის დროს ერთმა უცხოელმა ჟურნალისტმა მკაცრი საიდუმლოების ქვეშ გამანდო მის მიერ აღმოჩენილი კარო-კანის დაცვის პანოვის ვარიანტში მ. ბოტვინიკის საყვარელი გაგრძელების უარყოფა. ჟურნალისტმა ეს ისეთი დამაჯერებლობით შთამინერგა, რომ მე მის უმართებულობაში ეჭვიც არ შემპარვია. პირიქით, თავი უბედნიერეს ადამიანად წარმოვიდგინე, მით უმეტეს, რომ ეს ძვირფასი საიდუმლოება, შევიძინე თითქმის უფასოდ — ერთი ბოთლი ღვინით.

ვერ წარმოიდგენთ ჩემს სიხარულს, როდესაც კენჭისყრის დროს მე პირველსავე ტურში მიწვდა შეხვედრა მ. ბოტვინიკთან, ისიც შავებით. მე უკვე ვხედავდი სატურნირო ცხრილში ერთიანს და დაუფიქრებლად, სწრაფად ვაკეთებდი სვლებს. როდესაც ღრმად ჩავუკვირდი ჩემს პოზიციას, საშტად დარჩენილმა დავინახე, რომ გარდუვალი იყო ჩემი ლაზიერის დაკარგვა. სირცხვილი იყო მაშინვე დანებება. ამიტომ კიდევ რამდენიმე სვლა გავაკეთე. მაგრამ მალე ატყდა მაყურებელთა აპლოდისმენტები, რომელმაც გამომარკვია და „ვანმდევნა“ სასტუმროში.

**მ. ბოტვინიკი — რ. შპილმანი**

1. e4 c6 2. e4 d5 3. ed cd 4. d4 მf6 5. მc3 მc6 6. კg5 (ესაა ბოტვინიკის საყვარელი გაგრძელება) 6. ... ლb6? (ამ სვლით იწყება ჟურნალისტის მიერ შეთავაზებული ვარიანტი) 7. cd! ლ:b2 8. ეc1! მb4 (აქ უკვე შეიძლებოდა დანებება) 9. მa4 ლ:a2 10. კc4 კg4 11. მf3 კ:f3 12. gf შავები დანებდნენ.

ამ წაგებამ მორალურად ისე „წამახდინა“, რომ მეჩვენებოდა თითქოს წავაგებდი დანარჩენ შეხვედრებსაც“.

## გაიმარჯვა კერესმა

ჰასტინგსში დამთავრდა საახალწლო ტრადიციული საჭადრაკო ტურნირი.

საბჭოთა გროსმაისტერმა პ. კერესმა, რომელიც იშვიათი წარმატებით თამაშობდა, 7,5 ქულით I ადგილი დაიკავა.

აღსანიშნავია, რომ IX ტურში იგი იუგოსლაველ გროსმაისტერ გლიგორიჩთან გადაჭარბებული სითამამით თამაშობდა. ამას მოჰყვა ის, რომ კერესმა წააგო პარტია. სულ ტურნირში გათამაშებულ 9 პარტიაში კერესმა მოიგო 7, ერთი წააგო და ერთი ყაიმით დაამთავრა.

II ადგილზე გამოვიდა გროსმაისტერი ს. გლიგორიჩი — 6,5 ქულა. III ადგილი დაიკავა გროსმაისტერმა მ. ფილიპმა (ჩეხოსლოვაკია) — 6 ქულა.

## „რიგაში კარგი ამინდია“

ლატვიაში ალბათ არ დარჩა ჭადრაკის მოყვარული, რომელმაც არ იცოდეს, რომ დღეს მათ დედაქალაქში იწყება ბრძოლა ჭადრაკში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლისათვის. ამის ერთ-ერთი და მთავარი მიზეზი ისაა, რომ ტურნირში მონაწილეობენ მათი თანამემამულენი, — საბჭოთა კავშირის 1957 წლის ჩემპიონი გროსმაისტერი მიხეილ ტალი და ლატვიის 1957 წლის ჩემპიონი ოსტატი აივარ გიპსლისი.

ვისაც არ უნდა ჰკითხოთ, თუ ვინ გაიმარჯვებს, უმეტესობა გიპასუხებთ: „მიშა“. ეს რიგელების ფავორიტია—მიხეილ ტალი. რასაკვირველია, ნიჭიერი გროსმაისტერის ძალების ასეთი შეფასება უფრო ტენდენციურსა ჰგავს, თუმცა გასული წლის ჩემპიონატში მ. ტალმა მოულოდნელად (შეიძლება მისთვისაც მოულოდნელად) დაამარცხა დ. ბრონშტეინი, პ. კერესი, ა. ტოლუში, ტ. პეტროსიანი, მ. ტაიმანოვი და გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. წელს მას მსგავსი შედეგის გამეორება გაუძნელდება. ჩემპიონატის 18 მონაწილე: გროსმაისტერები დ. ბრონშტეინი, ა. ტოლუში, მ. ტაიმანოვი, ბ. სპასკი, ტ. პეტროსიანი, ი. ბოლესლავსკი, ე. გელერი, ა. კოტოვი, ი. ავერბახი, ვ. კორჩნოი, ოსტატები ს. ფურმანი, ლ. პოლუგაევსკი, ა. ბანიკი, ბ. გურგენიძე, ნ. კროგიუსი, ა. სუეტინი, ლ. არონინი და ა. გიპსლისი უფრო ფხიზლად ითამაშებენ.

— რიგაში ახლა კარგი ამინდია! იგი საინტერესო შეჯიბრების საწინდარია. — განაცხადა თქვენმა თანამემამულემ ოსტატმა ბ. გურგენიძემ ჩემთან საუბარში.

**ლ. კუძიში**

რიგა.

## მატჩი გრძელდება

1957 წლის მაისში დაიწყო საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერალური და დემოკრატიული რესპუბლიკების მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო მატჩი 100 დაფაზე მიწერ-მოწერით თამაშში. საბჭოთა გუნდის 21-ე დაფაზე თამაშობს ოსტატობის კანდიდატი თ. გიორგაძე, რომელიც ერთდროულად ორ პარტიას ეთამაშება ქ. დრეზდენში მცხოვრებ ჰელმუტ ბეტგერს. მატჩში ჯერ არც ერთი პარტია არ დამთავრებულა. ასევე გრძელდება თ. გიორგაძის პარტიები, რომლებშიც მხოლოდ 18–13 სვლა გაკეთდა (გასული წლის მაისიდან).

### I პარტია

**თ. გიორგაძე—ჰ. ბეტგერი**

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0—0 კe7 6. ეe1 b5 7. კb3 0—0 8. c3 d6 9. h3 მa5 10. კc2 c5 11. d4 ლc7 12. მbd2 g6 13. მf1 მფg7 14. მe3 ეe8 15. b4 cd 16. cd მc4 17. მ:c4 bc 18. ეe3.

### II პარტია

**ჰ. ბეტგერი—თ. გიორგაძე**

1. c4 e6 2. d4 d5 3. მd2 c5 4. ed ed 5. კb5+ მc6 6. ლe2+ კe7 7. dc მf6 8. მb3 0—0 9. კe3 ეe8 10. 0—0—0 მg4 11. მf3 კf6 12. კc4 კe6 13. ეd2 კ:b2+.



## ინციდენტი

ნიუ-იორკში შემდგარ მატჩს — გროსმაისტერ ს რეშევსკისა და საერთაშორისო ოსტატ ბირნს შორის (მოიგო რეშევსკიმ 7:3) შეიძლება ეწოდოს ინციდენტების მატჩი. პირველ პარტიაში რეშევსკი ჩვეულებისამებრ ღრმად ჩაფიქრდა, მარტო მეათე სვლას ერთი საათი მოანდომა და უსასტიკეს ცაიტნოტში აღმოჩნდა. აქ არაჩვეულებრივი არაფერია, რადგან, როგორც მკითხველებმა იციან, რეშევსკის ეს ყოველ პარტიაში ემართება. მაგრამ, მაშინ, როდესაც რეშევსკის რამდენიმე წამიღა დარჩა, ბირნმა თვით გააცდინა დრო 38-ე სვლაზე. რეშევსკი კი ფიქრს განაგრძობდა... ბირნმა გადაწყვიტა შემთხვევით ესარგებლა და მოწინააღმდეგეს ყაიმი შეთავაზა.

რეშევსკიმ, რომელსაც საათის შეხედვის დროც კი არ ჰქონდა, ყაიმი მიიღო, ბლანკზე ხელი მოაწერა და... თავში შემოირტყა ხელი. მსაჯმა ჰანს კმოხმა მისი პროტესტი უარყო, რადგან ყაიმი ორივე მეტოქის მიერ იქნა მიღებული.

# ჩ ე მ პ ი ო ნ ა ტ ი ს   შ ე დ ე გ ე ბ ი

(დასასრული)

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის მიერ ჯერ კიდევ შუა სეზონში იქნა გაფრთხილებული პირველი ჯგუფის გუნდების ხელმძღვანელობა, რომ 1958 წელს გათამაშებაში ყოველ გუნდს მოთამაშეთა 75 პროცენტი 23 წლის ასაკამდე უნდა ჰყავდეს. ვფიქრობთ, ეს გარემოება გამოაცოცხლებს ზოგიერთი მწვრთნელის საქმიანობას ადგილზე.

მიუტევებლად ცოტა ყურადღება ექცევა ფეხბურთის განვითარებას რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში. მაგალითად, თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში მრავლად არიან სკოლებიდან მოსული ფეხბურთელები, მაგრამ ვინაიდან აქ ფეხბურთის სათანადო გასაქანი არა აქვს, ეს მოთამაშეები თანდათან განიცდიან რეგრესს. ფიზკულტურისა და სპორტის თბილისის კომიტეტმა აუცილებლად უნდა განაახლოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის პირველობის ჩატარების ტრადიცია ორ წრედ — გაზაფხულზე და შემოდგომაზე და ამასთან მსხვილმა უმაღლესმა სასწავლებლებმა გამოიყვანონ 2-2 გუნდი.

კვლავ გვიხდება ლაპარაკი დისციპლინის დარღვევის ფაქტებზე და ეს შემთხვევები ხშირად აშკარა ხულიგნობაში გადადის. ასე იყო კაჭრეთის, ქარელის, კასპის, ახალქალაქის, საჩხერის, მარნეულისა და სხვა გუნდებს შორის. სამწუხაროა ის რომ, როცა ფეხბურთის რესპუბლიკური სექცია მკაცრ ზომებს მიმართავს დისციპლინის დამრღვევთა საწინააღმდეგოდ, ეს სხვებისთვის ხშირად ჭკუის სასწავლებელი არაა და წესრიგის დარღვევა საფეხბურთო მინდვრებზე გრძელდება.

გარკვეული გაუმჯობესება დაეტყო მსაჯთა საქმიანობას, მაგრამ ზოგიერთი მსაჯის მხრივ ჯერ კიდევ აქვს ადგილი საქმისადმი უგულო დამოკიდებულებას (ბოჭორაძე, ალბრეხტი, შილაკაძე, მკრტიჩიანი, ოგანიანი, ნიკოლაიშვილი, ტატანაშვილი და სხვ.). იშვიათი არ იყო შემთხვევა, როცა მსაჯი თავისი გაუბედაობით, უპრინციპობით ხელს უწყობდა უხეშობას, იწვევდა საერთო უკმაყოფილებას.

მომავალი სეზონისათვის საჭირო იქნება მთელ რიგ ღონისძიებათა გატარება ცხოვრებაში, რათა არსებული ნაკლოვანებანი დროულად იქნას აღმოფხვრილი. ფეხბურთელთა მზადება დაწყებულ უნდა იქნას ახლავე, იანვრის შუა რიცხვებიდან. საჭიროა სტადიონებზე დაიდგას დამხმარე მოწყობილობა, გაუმჯობესდეს მუშაობა მოთამაშეთა საერთო ფიზიკური მომზადების მხრივ, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ინდივიდუალურ მუშაობას ტექნიკის ამაღლებლად, გუნდების ტაქტიკური დონის გაუმჯობესებისათვის. ყოველი გუნდის ხელმძღვანელების ვალია, ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რათა ფეხბურთის საერთო კლასმა ჩვენს რესპუბლიკაში განიცადოს ახალი წინსვლა.

**დ. ცომაია,**
**სახელმწიფო მწვრთნელი ფეხბურთში.**

## ყოველი მხრიდან

**პარიზი.** საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში საფრანგეთისა და ბულგარეთის ნაკრებ გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ — 2:2.

* * *

**ვინდალა (ფინეთი).** ფინეთის უძლიერეს მოთხილამურეთა შეჯიბრებაში 20 კილომეტრზე გაიმარჯვა ა ტიაინენმა. მისი დროა 1:08.58.

* * *

**ოტავა.** კანადის პრესა მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა ჰოკეისტთა გამოსვლას. მრავალი გაზეთის აზრით ეს იყო არა მარტო ჰოკეის მაღალი კლასის ჩვენება, არამედ, დიდი მნიშვნელობის მეგობრული ვიზიტი.

თემთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის სხდომაზე კანადის საგარეო საქმეთა მინისტრმა სმიტმა განაცხადა:

— მოსკოვის ჰოკეისტთა ვიზიტი შორს გასცდა სპორტულ მოვლენას. იგი გვეხმარება ჩვენს ურთიერთობათა გაუმჯობესებაში.

* * *

**მონცა.** იტალიის ამ ქალაქის ავტოდრომზე შედგა მოტორბოლა, სადაც ტ. ფერრიმ დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი 175 კუბური სმ მოცულობის მოტოციკლზე. 100 კმ დისტანცია მან დაფარა 28 წუთსა და 48,8 წამში (საშუალო სისწრაფე საათში 208, 236 კმ).

* * *

**პარიზი.** საფრანგეთის პირველობაზე ციგურებით ფიგურულ სრიალში გამარჯვება მოიპოვა 14 წლის გოგონამ დანი რიგოლომ. წყვილთა სრიალში საუკეთესო იყვნენ კრისტინა და ჟან-პოლ გიუელები. ეს სპორტსმენები დაიცავენ საფრანგეთის სპორტულ ღირსებას ევროპის ჩემპიონატში, რომელიც ამ მოკლე ხანში შედგება ბრატისლავაში.

* * *

**ვაშინგტონი.** ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიურმა კომიტეტმა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს გაუგზავნა თავისი პროტესტი ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან ბობსლეის ამოღების გამო.

* * *

**ბრიუსელი.** რუმინეთისა და ბელგიის რეგბისტთა მატჩი დამთავრდა რუმინელთა ბრწყინვალე გამარჯვებით — 36:5. აღსანიშნავია, რომ ბელგიელები ამ შეხვედრისათვის საგანგებოდ ემზადებოდნენ და რამდენიმე ძლიერი მოთამაშეც მოიწვიეს სხვადასხვა სახელმწიფოდან. როგორც ჩანს, იმპორტმა ვერ გაამართლა...

## სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობენ

## რაიმონ კოპა: პირველ ადგილს უნგრელები დაიკავებენ

## სმიტი: მოსკოვის ჰოკეისტთა ვიზიტი გვეხმარება ურთიერთობის გაუმჯობესებაში

# გ ა წ ბ ი ლ ე ბ უ ლ ნ ი

ზოგიერთი უნგრელი სპორტსმენი, რომელიც მტრული პროპაგანდის გავლენის ქვეშ მოექცა, მელბურნის ოლიმპიური თამაშების შემდეგ არ დაბრუნებულა თავის სამშობლოში. მაგრამ როგორც ცნობილია, დასავლეთის ქვეყნების ხელისუფალთა ყურადღება ე. წ. „გადანაცვლებულ პიროვნებათადმი" ერთობ მოკლევადიანი აღმოჩნდა. ასევე ცრუ გამოდგა სპორტის საქმოსანთა დაპირებები.

უნგრელ სპორტსმენთა უმეტესობა კონტრრევოლუციური აჯანყების შემდეგ მალე დაბრუნდა სამშობლოში. მაგრამ ერთეულები დარჩნენ უცხოეთში და დღევანდლამდე მძიმე პირობებში ცხოვრობენ. ასეთთა შორის აღმოჩნდნენ ცნობილი უნგრელი მძლეოსანი ლასლო ტაბორი და მწვრთნელი მიხალ იგლოი.

როგორც იტყობინება ამერიკული სააგენტო „ასოშიეიტედ პრესი", ტაბორი და იგლოი გაწბილებულნი დარჩნენ. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მათი სახელების წინაშე ყველა კარი გაიღებოდა და უზრუნველყოფილი ცხოვრებაც ექნებოდათ.

მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ამერიკელ მაყურებელს არ მოეწონა ტაბორი, რომელიც, ახლა სან-ფრანცისკოს სახარაზო სახელოსნოში მუშაობს. მისი კომპანიონი იგლოი დიდი ხნის განმავლობაში თავაზობდა თავის სამსახურს კალიფორნიის სხვადასხვა უნივერსიტეტს, მაგრამ ამაოდ.

ტაბორი და იგლოი ამჟამად შინ დაბრუნებაზე ოცნებობენ...

## შაიბიან ჰოკეიში მსოფლიო ჩემპიონატის წინ

15 დეკემბერი შაიბიან ჰოკეიში მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე გუნდების განაცხადების მიღების უკანასკნელი ვადა იყო. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ძნელია ითქვას თუ რამდენი გუნდი მიიღებს ოსლოს ჩემპიონატში მონაწილეობას. საქმე იმაშია, რომ 15 იანვრამდე შესაძლებელია მიღებული განაცხადების გაუქმება. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას მხოლოდ, რომ პირველობაში მონაწილეობას მიიღებს დიდი ხუთეული: საბჭოთა კავშირი, შეერთებული შტატები, კანადა, შვეცია და ჩეხოსლოვაკია. თითქმის გადაწყვეტილია აგრეთვე ჩემპიონატში პოლონეთის, ფინეთისა და ნორვეგიის მონაწილეობა. სადავოა მხოლოდ რუმინეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდების გამოსვლები.

ჩემპიონატის ორგანიზატორების აზრით იდეალური იქნებოდა გათამაშებაში 8 ან 9 გუნდის მონაწილეობა. პირველობის მსვლელობა ისეა დაგეგმილი, რომ დღეში მხოლოდ სამი შეხვედრა მოეწყოს, ხოლო თუ მონაწილეთა რიცხვი ათს გადააცდება, მაშინ დღის წესრიგში დადგება გუნდების ჯგუფებად დაყოფის საკითხი და შემდეგ, ექვს უძლიერეს გუნდს შორის ფინალის ჩატარება.

ოსლოში უკვე დაიწყო მატჩებზე დასასწრები აბონემენტების წინასწარი გაყიდვა. საზღვარგარეთული ტელევიზიის კომპანიები, მათ შორის კანადისა და შვეციის სააგენტოები, მოლაპარაკებას აწარმოებენ ორგანიზატორებთან ტელეგადაცემების უფლების მოპოვებაზე, მაგრამ ეს საკითხი ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გადაწყვეტილი, რადგან ორგანიზატორებს ახსოვთ შვეციის მწარე გამოცდილება. როგორც ცნობილია, შვეციისა და საბჭოთა კავშირის ჰოკეისტების ნაკრები გუნდების შეხვედრას სტოკჰოლმში დაესწრო 6 ათასი მაყურებელი ნაცვლად 16 ათასისა. სპორტის მოყვარულებმა ირჩიეს მატჩის ყურება ტელევიზიით, იგივე განმეორდა შვედებისა და ჩეხების შეხვედრის დროსაც.

ამასთან დაკავშირებით შვეციის ფეხბურთის კავშირის ხელმძღვანელებმა — 1958 წლის მსოფლიოს პირველობის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ ისინი თამაშების ტელეგადაცემის კატეგორიული წინააღმდეგი იქნებიან.



## ფეხბურთი მსოფლიოს გარშემო

ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა" მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის შესახებ გამოაქვეყნა ცნობილი თავდამსხმელის რაიმონ კოპას სტატია. როგორც ცნობილია, სპორტულ მიმომხილველთა დიდ ნაწილს მომავალ ჩემპიონად ინგლისი მიაჩნია, ხოლო ზოგი უპირატესობას არგენტინას ანიჭებს. კოპა არც ერთ ამ ჯგუფს არ ემხრობა. მისი აზრით, ამჯერად პირველ ადგილს უნგრელები დაიკავებენ, რომელთა აგრესიულ, შემტევ თამაშს სამხრეთ-ამერიკული „მსახიობები" ვერაფერს დაუპირისპირებენ. კოპა წერს, რომ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა უნგრელთა მიერ ნორვეგიელების განადგურებამ (5:0), ეს იმის მაჩვენებელია, — განაგრძობს იგი.— რომ წარსულში უძლიერესმა უნგრეთის თავდასხმამ კვლავ დაიბრუნა დაკარგული სახელი.

* * *

საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობა გუნდის გაძლიერების მიზნით ექსპერიმენტებს მიმართავს. მას შემდეგ, რაც ცნობილმა მეკარემ რემეტერმა პრესაში განაცხადა, რომ თამაშს თავს ანებებს და მწვრთნელობაზე გადადის, გამონახულ იქნა ახალი ძლიერი მეკარე აბესი, რომელიც ინგლისელებთან ჩატარებული ამ ხანაგური მატჩის გმირი იყო. აბესმა მხოლოდ ოთხი ბურთი გაუშვა, მრავალი „უიმედო" ბურთი მოიგერია და მძიმე ტრავმა მიიღო. ამჟამად კარს იცავს კოლონიის თავდასხმა, რომლის შემადგენლობაში აღარ არის ცნობილი „ყუმბარმშენი" სიზოვსკი, ... თამაშობს. მაგრამ ფრანგებს სრული იმედი აქვთ, რომ სიზოვსკი ... თან ერთად უახლოეს ხანებში მწყობრში ჩადგება კოპა. ეს ... კოპაა რომელმაც, პრესის გამოთქმით, „დაჩრდილა" უნგრეთის ფეხბურთის ვარსკვლავებიც კი. ფრანგთა მწვრთნელმა ნიკოლასმა უკვე მიიღო თანხმობა ესპანეთის საფეხბურთო ფედერაციისაგან კოპას დროებით „გამოშვებაზე" თამაშზე.

* * *

შვეციის გუნდს დაუბრუნდა თავდასხმის ცნობილი „დირიჟორი" გრენი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე იტალიის სხვადასხვა პროფესიულ კლუბებში თამაშობდა. გრენი ამჟამად 37 წლისაა, მაგრამ ხანდაზმულობის მიუხედავად, დიდი ენერგიით თამაშობს. ამას წინათ შვეციისა და დასავლეთ გერმანიის ნაკრებთა შეხვედრისას გრენმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გერმანული ჟურნალი „ფუსბალ-ვოხე" მის თამაშს „საოცრად ძლიერს" უწოდებს.

ამას წინათ ჰანოვერში „ნიდერზაქსენ-შტადიონზე" გაიმართა საინტერესო საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისა და უნგრეთის ნაკრებ გუნდებს შორის. ანგარიშით 1:0 მატჩი მოიგეს გერმანელებმა.

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე:** გერმანელ ერჰარდტისა და უნგრელ ლენკეის ბრძოლა ბურთისათვის.

**რედაქტორი ი. უზულაშვილი**

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო",
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ.მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3.90.34, მორიგისა და გამოშვების — 3-38-25.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14. უე 0061